პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი წყალტუბო

საქართველოს კპ წყალტუბოს რაიკომისა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

АХАЛИ ЦХАЛТУБО Орган Цхалтубского райкома КП Грузии и райсовета депутатов трудящихся

გამოცემის XVII წელი

№ 36 (1587), პარასკევი, 23 მარტი, 1956 წ. ფასი 15 კაპ.

## გავაუმჯობესოთ სასპორტო-ფიზკულტურული მუშაობა

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ ფიზკულტურისა და სპორტის ფართოდ განვითარებას, რომელიც მშრომელთა კომუნისტური აღზრდის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ჩვენი დიადი სამშობლო სპორტის ყველაზე მძლავრი და მოწინავე ქვეყანაა მთელ მსოფლიოში.

სკკპ მე-20 ყრილობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ბულგანინმა აღნიშნა: „მშრომელთა ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ფიზიკურ კულტურასა და სპორტს. უზრუნველყოფილ უნდა იქნას მოსახლეობის ფართო ფენებში ფიზკულტურის ყოვლისმომცველი (?) ყოვლისმხრივი განვითარება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალგაზრდობაში ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობის გაუმჯობესებას".

ჩვენს რაიონში უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გამოცოცხლდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. წარმოება-დაწესებულებებთან, კოლმეურნეობებსა და სკოლებთან არსებულ ძირეულ კოლექტივებში გაერთიანებულია ორი ათასამდე კაცი.

ქალაქის რუსული საშუალო სკოლის (ფიზაღზრდის მასწავლებელი ა. დვალი) ფიზკულტურული კოლექტივი ყოველწლიურად გადამზადებით ასრულებს ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმებს, ატარებს საინტერესო სპორტულ ღონისძიებებს, წარმატებით გამოდის სარაიონო შეჯიბრებებში. ანალოგიური მაგალითების მოყვანა რაიონის სხვა ფიზკულტურული კოლექტივების ცხოვრებიდანაც შეიძლება. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ ფიზკულტურული კოლექტივებისა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა მუშაობის დადებით მხარეებთან ერთად არ დაგვენახა ხარვეზები, რომლებიც აფერხებენ სასპორტო-ფიზკულტურულ საქმიანობას.

საიდუმლო არ არის, რომ ზოგან ჯეროვნად არ აფასებენ ფიზკულტურის მნიშვნელობას, არ ზრუნავენ სპორტული მოედნების მოწყობის, სასპორტო ინვენტარის შეძენისა და მიზანშეწონილად გამოყენებისათვის. მეტად სავალალო მდგომარეობაა სოფლად, სადაც ამ მხრივ ბევრია ფორმალობა. სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ამას წინათ ჩატარებულ რაიონულ კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ბევრ კოლმეურნეობაში სპორტული მოედნები უპატრონობით ფუჭდება, შემოურაგვავია, ზოგან კი — სათეს ფართობად იყენებენ.

სპორტის მასობრიობისათვის ბევრის გაკეთება შეუძლიათ კომკავშირულ ორგანიზაციებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ ამ სასარგებლო საქმისადმი, არ ეხმარებიან ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ფიზკულტურული მუშაობის მტკივნეული საკითხების მოგვარებაში. ეს განსაკუთრებით ითქმის ცხუნკურის საშუალო და ქვილიშორის რვაწლიანი სკოლების, კურორტსამმართველოს, მუხიანის მიქოიანის, ფარცხანაყანევის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციების მიმართ, სადაც ძალზე ცოტას აკეთებენ ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობისათვის.

სერიოზული ნაკლოვანებებია სპორტული ბაზების მშენებლობისა და არსებულის მოვლა-პატრონობის საქმეში. სოფლებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ მხრივ თვით კურორტ-ქალაქშიც არ დგას ყველაფერი რიგზე. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ქალაქის ფეხბურთის მოედანი, რომელიც ხეირიანად შემორაგულიც კი არ არის. დაუშვებლად აჭიანურებს კურორტსამმართველო № 1 და № 3 სანატორიუმებში ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების მშენებლობას, რაც ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბრისათვის უნდა ყოფილიყო მზად.

გაზაფხული ძალაში შევიდა. დადგა სპორტული საქმიანობის გაშლის საუკეთესო პერიოდი. ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა, პარტიულ-პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, აქედანვე უნდა იზრუნონ მიმდინარე სპორტული სეზონის წარმატებით ჩატარებისათვის, მომზადებული შეხვდნენ სარაიონო და რესპუბლიკურ სპარტაკიადებს.

## საბჭოთა საქართველოში

★ ★ ★

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალების პროპაგანდა

რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გაჩაღდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალების ფართო პროპაგანდა.

თბილისის საწარმო-დაწესებულებებში, აგიტპუნქტებში ყრილობის მასალებს განმარტავს 15 ათასზე მეტი აგიტატორი. ბევრი მსმენელი ესწრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისადმი მიძღვნილ ლექციებსა და მოხსენებებს, რომლებსაც აკეთებენ პარტიის საქალაქო კომიტეტის მომხსენებლები, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ცენტრალური სალექციო ბიუროს ლექტორები.

თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატში, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში გაიმართა ლექციები თემებზე: „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმა ახალი დიდი ნაბიჯია კომუნიზმის მშენებლობაში". საქტრიკოტაჟის ფაბრიკაში წაიკითხეს ლექცია „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხის ახალ-ახალი გამარჯვებებისათვის ბრძოლის პროგრამაა".

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა დაახლოებით 200 მოხსენება და ლექცია მოაწყო პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესახებ. რესპუბლიკის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დუშეთის, მცხეთის და სხვა რაიონების სოფლებში გაგზავნა მომხსენებელთა ჯგუფი ყრილობის მასალების შესახებ ლექციების წასაკითხავად. (საქინფორმი).

### მზადება ზაფხულში მგზავრთა გადაყვანისათვის

ამიერკავკასიის რკინიგზაზე გაჩაღდა მზადება ზაფხულში მგზავრთა გადაყვანისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კურორტებზე მიმავალ მშრომელთა მომსახურების ორგანიზაციას. დაიწყო სოხუმის, ბზიფის, გალის ვაგზლების რემონტი. შენდება ჩასასხდომი ბაქნები აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო უბანზე, ზემო ქვალონში, დაბაძველაში. ვაგზლების ახალი ავეჯის შევსებისათვის დახარჯულია 750 ათასი მანეთი. ვაგზლის მუშაკების დასახმარებლად გამოყოფილია იატაკსარეცხი და სხვა მანქანები, ტელესკოპური კოშკურები ფანჯრებისა და კედლების მოსაწყობად. ეს შესაძლებელს ხდის გულმოდგინედ მოეწყოს მგზავრთა მოსაცდელი დარბაზები და ვაგზლისპირა მოედნები. სადგურების მომიჯნავე ტერიტორიებზე ირგვება 150 ათასი ძირი ხეხილი, დეკორატიული ხე და ბუჩქები, ჯანმრთელობის დიდ კერებში — გაგრაში, ახალ ათონში, სოხუმსა და სხვაგან იხსნება ბილეთის წინასწარ გასაყიდი რკინიგზის სალაროები. ფართოდ გავრცელდება რკინიგზის ბილეთების გაყიდვა შინ მიტანით.

გათვალისწინებულია ზაფხულის პერიოდში პირდაპირი ვაგონების შემოღება: თბილისი — ლენინგრადი, თბილისი — მინერალური წყლები, თბილისი — კიევი.

შემოღებულ იქნება დამატებითი მატარებლები — ლენინგრადი—სოხუმი და მურმანსკი — ბათუმი. (საქინფორმი).



თბილისი

სურათზე: მეტალურგიული ტექნიკუმის ახალი შენობა.
ფოტო. პ. ლუციენკოსი.

### ჩასაცმელი გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის

თბილისის, რუსთავის, ქიათურისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების სამრეწველო საქონლის მაღაზიებში გასაყიდად მიიღეს ქალისა და მამაკაცის სეზონის პალტოების დიდი პარტია, რომლებიც თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკამ დაამზადა. საქართველოს სამკერვალო მრეწველობის საწარმოებში განხორციელებულია საწარმოების სპეციალიზაცია. მაგალითად, თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკა კერავს მამაკაცისა და ქალის კოსტიუმებს, თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკა მამაკაცის პერანგსა და შარვალს, ქუთაისისა და ბათუმის ფაბრიკები უშვებენ ბამბის, სელის კაბებსა და კოსტიუმებს. მთელი რიგი საწარმოები კერავენ აბრეშუმის კაბებს, ბავშვის ტანსაცმელს.

გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის რესპუბლიკის სამკერვალო ფაბრიკები გამოუშვებენ 37,8 მილიონი მანეთის 75 ახალი მოდელის მზა ტანსაცმელს. განსაკუთრებით გამოირჩევიან კოსტიუმების, კაბების, პალტოების ფასონები, რომლებიც შექმნა რესპუბლიკის მოდელის სახლმა. მაღალი შეფასება მიიღეს მხატვარ-მოდელიერების ანა და თამარ კალანდაძეების, ა. რუხაძის, ე. ატაპინას, ზ. ტარასევას მოდელებმა. მათ ნამუშევართა შორის არის გემოვნებით გაფორმებული ქალისა და ბავშვის ლამაზად შეკერილი ტანსაცმელი, ბიჭის კოსტიუმები, კაბები.

წარმოებს სამკერვალო საწარმოთა გაუმჯობესებული მოწყობილობით აღჭურვა. მათ საამქროებში დადგმულია ჩქარი საკერავი მანქანები, წნეხები თარგის გამოსაჭრელად, მანქანები აბრეშუმით და სხვა მექანიკური ქარგვისათვის. (საქინფორმი).

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

# სწავლობენ მეოცე ყრილობის მასალებს

საქგუმბრინის მაღაროელები მთელი მონდომებით სწავლობენ სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

წარმოების პარტბიურო (მდივანი გ. სადრაძე) სისტემატურად აწყობს პროპაგანდისტთა, კონსულტანტთა, აგიტატორთა და მკითხველ-მესაუბრეთა თათბირებს. ყრილობის მასალების შესწავლისას მთავარი ყურადღება ექცევა საწარმოო გეგმების შესრულებისა და ობიექტებზე ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის საკითხებს. მომზადებულად ატარებენ საუბრებს თავიანთ უბნებზე აგიტატორები ნ. მატიუშკინა, გ. მშვენიერაძე, მ. ჩირგაძე და სხვები.

ქმედითი აგიტაციის შედეგად მრავალმა მაღაროელმა იკისრა გადიდებული ვალდებულება და თავდადებული შრომით ანაღდებს პირობას. № 2 მაღაროს მუშამ ს. გოცირიძემ ახალი საწარმოო გამარჯვების მოპოვების მიზნით ივალდებულა გუმბრინის ამოღების წლიური გეგმა 1 თვით ადრე — ნოემბრის ბოლომდე შეასრულოს, გაზარდოს შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტით. ასეთივე ვალდებულებები აიღეს მბურღავმა რ. ფანცხავამ და მნგრეველმა პ. გურეშიძემ.

ახალგაზრდა მუშამ ნ. ჩირგაძემ, რომელიც № 1 მაღაროში მტვირთავად არის, განაცხადა: პარტიამ და მთავრობამ განსაკუთრებული პირობები შეგვიქმნა ახალგაზრდებს. ბედნიერი და ამაყი ვარ იმით, რომ მიწისქვეშა სამუშაოებზე მყოფი ჩემი ტოლებისათვის დაწესდება 6-საათიანი დღე. ამ სასიხარულო გადაწყვეტილების პასუხად მან ვალდებულება აიღო დატვირთვის წლიური გეგმა 142 პროცენტით გაანაღდოს.

პარტბიუროს ახლო ხანში განზრახული აქვს მოაწყოს მაღაროელთა შორის ლექციების კითხვა პარტიის მე-20 ყრილობის მასალებზე. ეს ხელს შეუწყობს მაღაროელებს მეექვსე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის წარმატებით ბრძოლაში.

კ. მესხიშვილი.

# ავამაღლოთ კომუნისტების ავანგარდული როლი

კოლმეურნეობის წინსვლაში დიდი წვლილი შეაქვთ კომუნისტებს. პარტიული ორგანიზაციის მოვალეობაა სისტემატურად ზრუნავდეს იმისათვის, რომ კომუნისტები ენერგიულად მუშაობდნენ მათთვის მიჩენილ უბნებზე, მაგალითის მიმცემნი იყვნენ დანარჩენი კოლმეურნეებისათვის.

ამ საწესდებო მოთხოვნებს სრულიადაც ვერ პასუხობს ფარცხანაყანევის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ა. ნუცუბიძე), რომელშიც 34 კომუნისტი ირიცხება. გასულ წელს პარტიულმა ორგანიზაციამ ცუდად იმუშავა საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცების, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში. აქ დროულად ვერ მოაწყეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვა-დამუშავება, სუსტად იდგა შრომის დისციპლინა, თითქმის არაფერი გაუკეთებიათ მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ი ს პროდუქტიულობის ზრდისათვის. 1955 წელი რომ ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრეს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ სიმინდის საშუალო საჰექტრო მოსავალმა ნაცვლად 13,2 ცენტნერისა, 2,7 ცენტნერი შეადგინა, ხოლო ბოსტნეული 88 ცენტნერის ნაცვლად, 24 ცენტნერი მიიღეს. ასეთივე სამარცხვინო მაჩვენებლები ჰქონდათ მეცხოველეობის დარგში.

მოსალოდნელი იყო, პარტიული ორგანიზაცია წელს მაინც გაითვალისწინებდა გ ა ს უ ლ ი წლის მწარე გაკვეთილს, მაგრამ ასე არ მოხდა. მიმდინარე სამეურნეო წელიც ცუდად დაიწყეს.

სუსტად მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. კერძოდ, საგაზაფხულო ხვნა ნაცვლად 573 ჰექტარისა ჩატარებულია 139 ჰექტარზე. ხვნაზე არ იყენებენ ცოცხალ გამწევ ძალას. ნელი ტემპით წარმოებს ორგანული სასუქების გატანა. 15 მარტისათვის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.800 ტონისა, გატანილი იყო მხოლოდ 172 ტონა. ამ მხრივ მეტად ჩამორჩა № 5 და № 6 ბრიგადები, ხოლო № 7 და № 8 ბრიგადებში, რომლებსაც კომუნისტები რ. კუჭუხიძე, და ტ. თევდორაძე ხელმძღვანელობენ, ნაკელის გატანა დაწყებულიც არ ჰქონდათ.

ნაცვლად იმისა, რომ მუშაობის გადამწყვეტ უბნებზე იყონ, ზოგი კომუნისტი იოლი გზით წასვლას ცდილობს. ს. კუჭუხიძე გასულ წელს ბრიგადირად მუშაობდა, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა და მოვალეობისაგან გაანთავისუფლეს. ამის შემდეგ მან მუშაობა მიატოვა და მიმდინარე წელს არც ერთი შრომადღე არ გამოიმუშავა. ასევე „განაწყენებული“ აღმოჩნდა ვ. ნუცუბიძე, რომელმაც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეობიდან გადარჩევის შემდეგ შეწყვიტა კოლმეურნეობაში მუშაობა, ყოფილი ბუხჰალტერი კომუნისტი ვლ. თევდორაძე კი, რომელმაც ანგარიშწარმოების საქმეს თავი ვერ გაართვა და სამუშაოდან მოხსნეს, კოლმეურნეობას ახლოს არ ეკარება.

საკოლმეურნეო შ რ ო მ ა შ ი დღემდე სუსტად მონაწილეობენ კომუნისტები ა. თევდორაძე, ნ. ნუცუბიძე, შ. ფხაკაძე და მ. ჩხეტია. თვითეულ მათგანს წელს მხოლოდ 5-7 შრომადღე აქვთ გამომუშავებული. აღნიშნული და სხვა მრავალი ნაკლოვანებანი იმით არის გამოწვეული, რომ პარტიული ორგანიზაცია უნარიანად ვერ ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის ს ა მ ე უ რ ნ ე ო საქმიანობას. პარტიული კრების მსჯელობის საგნად აქ იშვიათად ხდიან ს ა კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ცხოვრების მომწიფებულ საკითხებს, არ ჩანს კომუნისტების ავანგარდული როლი.

ახლა, მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების ამ პასუხსაგებ პერიოდში, როცა საკოლმეურნეო მოსავლის და შემოსავლის ბედ-იღბალი წყდება, კოლმეურნეობის პ ა რ ტ ი უ ლ ორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს უფლება არა აქვს განზე უდგეს სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმიანობას. ამ სამწუხარო ფაქტებიდან მ ა თ დროულად მართებთ საჭირო დასკვნის გაკეთება.

თ. იოსელიანი.

# დაჩქარებით ასრულებენ მიმდინარე სამუშაოებს

დამზღვევ სალაროთა საბჭოს № 1 მშენებლობაზე გადაჭარბებით შესრულდა იანვრისა და თებერვლის დავალებები, რამაც ერთგვარად წ ა ა ხ ა ლ ი ს ა მშენებლები ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

ამ დღეებში საგრძნობლად დაჩქარდა მიმდინარე სამუშაოები, გადაჭარბებით სრულდება დღიური დავალებები, რაც მშენებელთა ენერგიულ შრომასთან ერთად სამშენებლო მასალების შეუფერხებელი მოწოდებითაც აიხსნება.

კარ-ფანჯრების ჩასმის, იატაკის დაგების, შენობის გადახურვის სამუშაოებს დიდი მონდომებით და მაღალხარისხოვნად ასრულებენ დურგალთა ის ბრიგადები, რომელთაც ი. ლაბასტოვი და მ. სარქისიანი ხელმძღვანელობენ. ნაყოფიერად მუშაობენ დურგლები მ. ბრიგატიუკი, დ. პროდუნი, ა. ასტოიანი, ე. დანელიანი და სხვები.

დაბეტონების, შენობასთან მისასვლელი გზებისა და მოედნების კეთილმოწყობის, სამშენებლო მასალების ადგილზე მიზიდვისა და განაწილების დავალებებს ორმაგად ანაღდებენ დამხმარე მუშები მ. ლიახოვი, გ. გურეშიძე, ქ. ტუსკაძე, ლ. ზვიადაძე, მ. გურეშიძე და სხვები, რომელთაც გამოცდილი მუშა ვ. ტრეტიაკოვი ხელმძღვანელობს.

მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ ფასადის შელესვა აპრილის დამლევისათვის დაამთავრონ. როგორც გარეთა, ისე შიდა შელესვის სამუშაოებზე ენერგიულად შრომობენ ა. მალიხინი, გ. მაიფეტი, ე. კალატანოვი, გ. სააკოვი, ხ. ტოროსოვი, ა. კალატანოვა და სხვები. მათ მიერ შესრულებული სამუშაოები მაღალხარისხოვანია.

მშენებელთა ვალია არ შეანელონ მუშაობა და დავალებები მაღალხარისხოვნად, შემჭიდროებულ ვადებში შეასრულონ.

შ. მაგიშვილი.

# ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი

...ჰაერი მოტორების გუგუნს აევსო. დროდადრო ჭვემეხების გამაყრუებელი ქუხილი ისმოდა. ცაში კუპრივით შავი ბოლი ასვეტილიყო... მოწინააღმდეგე დონბასში შეჭრას ლამობდა. გერმანელთა ურდოები აწიოკებით ემუქრებოდნენ უკრაინას.

ფრიდა ვეტრაგონი მაშინ მერვე კლასის მოსწავლე იყო. მის მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდა 1941 წლის ზაფხულის მრისხანე დღეები: მტრის მიერ ნანგრევებად ქცეული ქალაქები და სოფლები, დარბეული მოსახლეობა, ევაკუაციის გამო ქ. კრივოი როგის დატოვება და მშობლებთან ერთად თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლა... ვინ მოთვლის რამდენი რამ შეიცვალა მას შემდეგ ქვეყანაზე, კერძოდ კი ფრიდას ცხოვრებაში.

წარმატებით დაამთავრა მან საშუალო სკოლა და უგამოცდოდ ჩარიცხეს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. ბეჯით სწავლაში შეუმჩნევლად გაირბინა დრომ. პირველ კურსიდანვე ფრიადოსანი ფრიდა წარმატებით ამთავრებს ინსტიტუტს და პროფესორ-მასწავლებლების რჩევით მოსკოვში, კურორტოლოგიის ცენტრალურ ინსტიტუტში იწყებს მუშაობას. ფ. ვეტრაგონი აქაც გამოირჩევა: ბევრს კითხულობს, ეცნობა მედიცინის მეცნიერების მიღწევებს, საქმიან კავშირს ამყარებს სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომლებთან.

რამდენიმე წელი დაჰყო ფრიდამ მოსკოვში, ხოლო შემდეგ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანებით სამუშაოდ ჩამოვიდა საქ. კურორტოლოგიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალში. უკვე რამდენიმე წელია, რაც იგი ამ დაწესებულების ბიოქიმიკოსია და კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. მას აქ იცნობენ, როგორც უნარიან და შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე ახალგაზრდას, აქტი... ურ საზოგადოებრივ მუშაკ...

კომუნისტი ქალიშვილი ... მეორე წელია კითხულობს ... „მეცნიერი მუშაკის“ ... ქტორია, ხშირად კითხულ... ლექციებს დამსვენებლებს... საინტერესო მოხსენებებით გამოდის ექიმთა სამეცნიერო კონფერენციებზე.

* * *

კურორტოლოგიის ინსტიტუ... ტის ფილიალში დიდი ყურად... ღება ექცევა მედიცინის მიღწ... ვების პრაქტიკაში დანერგვა... ახალ სამკურნალო-პროფილაქ... ტიკურ საშუალებათა ძიება... დიაგნოზების დაზუსტებას.

ახლახან შეიქმნა სამეცნიე... ნო რადიოლოგიის კაბინეტი, რომლის დანიშნულებაა ხელო... ვნური ნიშანდებული რადიოაქ... ტიური ელემენტების (იზოტო... პების) გამოყენებით დაკვირვე... ბის წარმოება წყალტუბოს მი... ნერალური წყლების მოქმედე... ბის მექანიზმზე. ამ უნიკალური წყლების მაღალი თვისებები საყოველთაოდ არის ცნობილი, მაგრამ მისი კეთილმოქმედი გავლენა ბევრ დაავადებაზე ჯერ კიდევ აუხსნელია. კერძოდ, დაუდგენელია ჩვენებანი ათეროსკლეროზის მკურნალობის დროს. ფ. ვეტრაგონი ახლა სწორედ ამ საკითხის შესწავლაზე მუშაობს. იგი ცდებს ატარებს კურდღლებზე, ხელოვნურად აავადებს მათ ათეროსკლეროზით, შემდეგ კი სპეციალური ხელსაწყოს საშუალებით ახდენს დაკვირვებას, თუ რა გავლენას ახდენს საღ... დელ ცხოველებზე რადიაქტიური აბაზანები.

ამ საკითხის გადაწყვეტა არც თუ ისე იოლია. იგი დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს, მაგრამ როცა ამ დაუღალავ ადამიანის საქმიანობას ეცნობით, გჯერათ, რომ ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი სასურველ შედეგს მიაღწევს. ამის საწინდარია თვით მისი დაძაბული შრომა, დაუცხრომელი სწრაფვა მიზნის მიღწევისაკენ.

შ. მენძელაძე.



ყირიმის ოლქი. იალტაში ახლახან გაიხსნა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ახალი სანატორიუმი „ბოლშევიკი“. დასაძინებელი ოთახების, სამკურნალო და სხვა შენობების გვერდით, აქ მოწყობილია ბაღი. ზამთრის პერიოდში ის დამსვენებელთა ერთერთი საყვარელი ადგილია.

ს უ რ ა თ ზ ე: ბაღის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო გ. ბოროდინისა.

საკდესის ფოტოქრონიკა.

# ჯანმრთელობა აღვიდგინე

წელს მეორედ ჩამოვედი წყალტუბოში სამკურნალოდ. ვისვენებდი კურორტს ამ ... რთველოს № 2 სანატორიუმში, სადაც მკურნალობასთან ერთად მოწოდების სიმაღლეზეა დაყენებული ავადმყოფთა კულტურული მომსახურების საქმე.

ნორმალურად გამოვიყენე რა მკურნალობის მთელი კურსი, საგრძნობლად განკურნებული ვბრუნდები შინ. რისთვისაც გულთბილ მადლობას ვუძღვნი სანატორიუმის სამედიცინო პერსონალს.

ს. ოძელი,
დამსვენებელი.

# დავაჩქაროთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები

## მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ ჩაის პლანტაციების გასხვლა

ო. კაჟარავა,
ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი-მუშაკი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლედში სამრეწველო წარმოების ჩაის პროდუქციის 1,3-ჯერ გადიდება. ეს დავალება ძირითადად უნდა შესრულდეს ფართობის ერთეულიდან მოსავლიანობის გადიდებით.

მრავალწლოვან ნორმალურ ჩაის პლანტაციებში ყოველწლიურად ტარდება ბუჩქების ფორმირული გასხვლა, რომლის დროს პლანტაციების მდგომარეობის მიხედვით წინა წლის ნაზარდზე 1-2 და 3-4-ფოთლიანი ნეკები რჩება. შუალედური გასხვლის მიზანია ბუჩქების ზრდის ენერგიის გაძლიერება, ფოთოლსაკრეფი ზედაპირის გადიდება, ვეგეტაციური ორგანოების განვითარება და დუყების კრეფის გაადვილება.

ბუჩქების ყოველწლიურად ფორმირული გასხვლა და, რაც მთავარია, დუყების განუწყვეტელი კრეფა დროთა განმავლობაში იწვევს მუხლების წარმოქმნას. ტოტები და ყლორტები თანდათან ხშირდება, ხოლო ზოგჯერ პირიქით, — ტოტების გამოხმობის გამო კრონა ძალზე მეჩხერდება, ბუჩქებზე ყოველწლიურად დატოვების სულ უფრო მაღალი მუხლები წარმოიქმნება. შედეგად სუსტდება ზრდის ენერგია და კლებულობს მოსავლიანობა. ამ შემთხვევაში აუცილებელი ხდება ბუჩქების მძიმე გასხვლა.

ბუჩქების მძიმედ გასხვლისას მცენარეს შორდება კრონის ზედა, სტადიურად უფრო მოხუცი ნაწილები, რის შედეგად ზრდითვლა და მცენარის სასიცოცხლო პროცესები გადადის ახალგაზრდა, დაბალი რიგის ტოტებზე, ძლიერდება ზრდის ენერგია და დიდდება მოსავლიანობა.

ჩაის პლანტაციების ხნოვანების, ბუჩქების მდგომარეობის და ექსპლოატაციის ხასიათის მიხედვით საჭირო ხდება პერიოდულად ჩატარდეს მძიმე გასხვლის შემდეგი სახეები:

ა) ჩაის პლანტაციებში, სადაც კრონა კარგადაა გამოყვანილი, მაგრამ დუყების მკაცრი კრეფის შედეგად დაზიანებულია შეფოთლილი ნაწილები, საჭიროა ნახევრად მძიმე გასხვლის ჩატარება 1-2-წლიანი ნაზარდების მთლიანად მოცილებით. ფოთლის კრეფა ასეთ პლანტაციებში უნდა დაიწყოს მაშინ, როცა ბუჩქებზე იქმნება გასხვლის დონის ზემოდ განვითარებული 5-6-ფოთლიანი ყლორტები.

ბ) პლანტაციებში, სადაც ბუჩქებს აქვთ ცუდად განვითარებული კრონა, ნახევრად მძიმე გასხვლა უნდა ჩატარდეს ზედა დაკოჟრების ქვემოთ დაახლოებით ფესვის ყელიდან 25-40 სანტიმეტრის სიმაღლეზე. ფოთლის კრეფა ამ პლანტაციებში იწყება მაშინ, როცა ბუჩქებზე იქმნება გასხვლის დონის ზემოთ განვითარებული 6-7-ფოთლიანი ყლორტები.

გ) პლანტაციებში, სადაც საჭირო ხდება კრონის ხელახალი გამოყვანა, ბუჩქების მძიმედ გასხვლა ტარდება ფესვის ყელიდან 10-15 სანტიმეტრის სიმაღლეზე. ფოთლის კრეფა ასეთ პლანტაციებში იწყება მაშინ, როცა ბუჩქები მიაღწევენ 40-45 სანტიმეტრის სიმაღლეს.

მძიმედ გასხვლის წელს ბუჩქების სიგანეზე გაფართოების მიზნით გვერდითი ფოთლის კრეფა არ უნდა იქნას ჩატარებული.

საკვლევ-სამეცნიერო მუშაობის შედეგად დადგენილია აგრეთვე ბუჩქების საზაფხულო გასხვლა, რითაც იზრდება ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა და ნელდება ფოთლის არათანაბარი შემოსვლა.

ჩაის პლანტაციებში ბუჩქების გასხვლის სახეების და ვადების მორიგეობის შედეგად თანაბრდება ფოთლის საკრეფად შემოსვლა, უმჯობესდება ნედლეულის ხარისხი, წესრიგდება მუშახელის გამოყენება და საგრძნობლად იზრდება მოსავლიანობა.

ჩაის პლანტაციების გასხვლა წყალტუბოს რაიონში არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაშორდეს 1 აპრილს.

წყალტუბოს რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიმდინარე სამეურნეო წელს ისინი გასულ წლებთან შედარებით, გარდა მცირე გამონაკლისისა, გაცილებით უკეთესად ატარებენ ჩაის პლანტაციების გასხვლას და აზოტოვანი სასუქების შეტანაც მაღალ აგროტექნიკურ დონეზე მიმდინარეობს. ამით უდაოდ შეიქმნება ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მაღალი მოსავლის მიღების მტკიცე საფუძველი.

## ნაკელის გატანა გვიანდება

რაიონის კოლმეურნეობებმა წელს მინდვრად 22.830 ტონა ნაკელი უნდა გაზიდონ. 20 მარტისათვის ეს დავალება 30 პროცენტითაც არ იყო შესრულებული. აღნიშნული სამუშაო მხოლოდ მაღლაკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ შეასრულა. წინ დგას ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც 1.800 ტონიდან გასატანი აქვს მხოლოდ 300 ტონა.

ნაკელის გატანაში სამარცხვინოდ ჩამორჩებიან მუხიანის და ფარცხანაყანევის სასოფლო საბჭოებში შემავალი კოლმეურნეობები. უფრო ცუდი მდგომარეობაა წყალტუბოს მალენკოვის, გუმბრის ვოროშილოვის, ცხუნკურის შვერნიკის, ორჯონიკიძის და მაღლაკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებში.

წყალტუბოს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის 8 საწარმოო ბრიგადიდან მხოლოდ № 7 და № 8 ბრიგადებმა შესძლეს 10 ტონა ნაკელის გატანა. დანარჩენი 6 ბრიგადის ხელმძღვანელებს — ა. ქაჯაიას, ი. ჯიქიძეს, ვ. ქაკაბაძეს და სხვებს ჯერ სერიოზულად არც უფიქრიათ ამ საქმეზე. ასევე ითქმის ცხუნკურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მიმართ, სადაც 7 ბრიგადიდან მხოლოდ ორმა ბრიგადირმა ი. ჯიმშელეიშვილმა და მ. შვანგირაძემ შეძლეს 60 ტონა ნაკელის გაზიდვა. № 3, № 4 და № 7 ბრიგადის ბრიგადირები დ. შვანგირაძე, მ. ჩიხლაძე და ვ. მესხი უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ ფრიად მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიების გატარებას. ანალოგიური ფაქტების მოყვანა შეიძლება ამავე სოფლის შვერნიკის, მაღლაკის რუსთაველის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებიდანაც.

დრო აღარ ითმენს, მინდვრად ორგანული სასუქების გატანის შეუფასებლობას ბოლო უნდა მოეღოს.

## საგაზაფხულო ხვნის მიმდინარეობა

20 მარტის ცნობებით

| კოლმეურნეობათა დასახელება | | | საგაზაფხულო ხვნა სულ | | პროც. | მოხნულია მუშა გამწევი ძალით | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | გეგმა | შესრულება | | გეგმა | შესრულება |
| მუხიანის | მიქოიანის | სახ. კოლმეურნეობა | 449 | 238,2 | 53,0 | 90 | 16 |
| მესხეთის | მოლოტოვის | „ | 286,5 | 164,6 | 57,4 | 86 | 17,5 |
| ფარცხანაყანევის | კალინინის | „ | 573 | 139 | 24,2 | 253 | 5,2 |
| „ | სტალინის | „ | 555 | 138,2 | 24,9 | 153 | — |
| „ | ჟდანოვის | „ | 476 | 204 | 42,8 | 176 | — |
| მაღლაკის | სტალინის | „ | 418 | 267 | 63,8 | 138 | 23 |
| „ | მალენკოვის | „ | 471,5 | 293 | 62,1 | 251 | 17 |
| „ | ლენინის | „ | 292 | 182 | 62,3 | 43 | 30 |
| „ | რუსთაველის | „ | 199 | 147,5 | 73,1 | 39 | 40 |
| გუმბრის | ვოროშილოვის | „ | 334 | 124 | 37,0 | 204 | 11 |
| გვიშტიბის | კაგანოვიჩის | „ | 426 | 25 | 5,9 | 91 | 25 |
| წყალტუბოს | მალენკოვის | „ | 564 | 15 | 2,6 | 446 | 15 |
| ხომულის | ბულგანინის | „ | 192 | 53 | 27,0 | 164 | 53 |
| ქვილიშორის | სტალინის | „ | 298 | 103 | 34,5 | 298 | 103 |
| ცხუნკურის | შვერნიკის | „ | 291 | 25 | 8,5 | 263 | 25 |
| „ | ორჯონიკიძის | „ | 326 | 40 | 12,2 | 277 | 40 |
| | | სულ რაიონში — | 6.151 | 2.158,5 | 35,2 | 2.972 | 420,7 |

## მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი და მინერალური სასუქები სიმინდის მოსავლიანობის გაზრდისათვის

ა. სარჯველაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აჯამეთის მემინდვრეობის საცდელი სადგურის მეცნიერი მუშაკი.

მარცვლეულ კულტურათა, კერძოდ სიმინდის მოსავლიანობის გადიდების მძლავრ საშუალებას სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში წარმოადგენს მინერალური და ადგილობრივი სასუქების ფართოდ გამოყენება.

მაღალი მოსავლის მიღებისათვის საჭიროა ნიადაგში საკმაო რაოდენობით იყოს მცენარისათვის შესათვისებელ ფორმაში აუცილებელი საკვები ელემენტები: აზოტი, ფოსფორი, კალიუმი, გოგირდი, რკინა და სხვ.

ცნობილია, რომ ნიადაგის ტიპის მიხედვით საკვებ ნივთიერებათა რაოდენობა და მცენარის მიერ მათი შეთვისების ხარისხი მეტად განსხვავდება. ამიტომ ჩვენი ამოცანაა შევისწავლოთ ნიადაგის ტიპის მიხედვით მასში არსებული საკვებ ნივთიერებათა რაოდენობა და დავადგინოთ ცალკეულ კულტურათა მოთხოვნილება მათ მიმართ.

დასავლეთ საქართველოში და კერძოდ, იმერეთის მემინდვრეობის ზონაში სიმინდი ითესება ეწერ და ალუვიურ ტიპის ნიადაგებზე. ეს ნიადაგები თავისი ბუნებით ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასე მაგალითად, წითელმიწა გაეწრებული ნიადაგები ხასიათდებიან ზედმეტი მჟავიანობით, ცუდი ფიზიკური, მექანიკური და ბიოლოგიური თვისებებით, სტრუქტურის უქონლობით და შედეგად ამისა, — დაბალნაყოფიერებით. ასეთ ნიადაგებში სიმინდის მაღალი მოსავლის მიღების მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს მოკირიანება. იგი ამცირებს ნიადაგის მჟავიანობას, ხელს უწყობს საკვებ ნივთიერებათა მობილიზაციას ნიადაგში და მის გადასვლას შესათვისებელ ფორმაში, აუმჯობესებს მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობას, ადვილად დასამუშავებელს ხდის ნიადაგს და სხვ. გარდა ამისა, კირის კალციუმი თვითონ ითვლება მცენარისათვის საჭირო საკვებ ელემენტად.

კირშემცველ ადგილობრივ სასუქებად გამოიყენება: კირქვა, კირნარი ტუფები, დეფეკაციური სასუქი, ტკილი, გლაუკონიტები და სხვ. ყველაზე უკეთესი კირშემცველი სასუქია კირნარი ტუფები, რომელიც წარმოადგენს ფხვიერ მთის ჯიშს და დიდი რაოდენობით მოიპოვება დასავლეთ საქართველოს რაიონებში (ზესტაფონი, თერჯოლა, ქუთაისი, ორჯონიკიძე და სხვ.).

საყურადღებო კირშემცველი სასუქია ტკილი. ის მოიპოვება მდინარის სანაპიროებზეც ფხვიერ ან შებელტებულ მდგომარეობაში და ნიადაგში ფენების სახით არის განლაგებული.

დეფეკაციური სასუქი, რომელიც შაქრის ჭარხლის გადამუშავების შედეგად რჩება, წარმოადგენს აგრეთვე საუკეთესო კირშემცველ სასუქს. ის კირის გარდა შეიცავს აგრეთვე აზოტს, ფოსფორს, კალიუმს და ორგანულ ნივთიერებებს. დეფეკაციური სასუქი აგარის შაქრის ქარხანაში ყოველწლიურად 12-15 ათასი ტონის რაოდენობით გროვდება და მისი იქიდან წამოღება ყოველგვარი სასყიდლის გარეშე შეიძლება, თუმცა ამ სასუქის გამოყენებას ჩვენში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა.

საჭიროა სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მეტი ინტერესი გამოიჩინონ ამ იაფფასიანი სასუქის გამოყენებისადმი, ორგანიზაცია უყონ მის გადაზიდვას საკოლმეურნეო მინდვრებზე. აჯამეთის საცდელი სადგურის მიერ დადგენილია კირშემცველ სასუქთა დოზა, რაც ტკილისათვის შეადგენს 40-60, ხოლო დეფეკაციური სასუქისათვის 8—10 ტონას თვითეულ ჰექტარზე. კირშემცველი სასუქის შეტანა (დეფეკაციური სასუქი) პირველ წელს 4,6-11,5 ცენტნერით ადიდებს სიმინდის მარცვლის მოსავლიანობას. კირშემცველი სასუქების გამოყენების დადებითი მხარეა ისიც, რომ ერთხელ შეტანილი 8—10 წლის განმავლობაში ადიდებს მოსავლიანობას. საცდელ სადგურში ჩატარებული ცდების მიხედვით დეფეკაციური სასუქის მოქმედება შეტანის მერვე წელსაც კი 2,2 ცენტნერით ადიდებს სიმინდის მოსავლიანობას.

(დასასრული მე-4 გვერდზე)